

შპს შავიტ ენდ როზენ

**ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს**

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	1
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	5-18

შპს შავიტ ენდ როზენ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,959,535	2,059,268	2,133,819
არამატერიალური აქტივები		4,672	4,961	5,228
		1,964,206	2,064,229	2,139,047
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები	4	39	79,789	9,353
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	2,482	544	161
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	6	2,088	1,540	302
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	0	55,719	293,015
მარაგები	8	4,554	5,862	7,067
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	0
		9,163	143,453	309,898
მთლიანი აქტივები		1,973,369	2,207,683	2,448,944
მთლიანი კაპიტალი				
პარტნიორთა კაპიტალი		860,067	839,483	811,623
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		-3,357,816	-2,241,576	-1,755,542
		-2,497,750	-1,402,093	-943,920
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	3,379,720	2,837,407	2,843,332
		3,379,720	2,837,407	2,843,332
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	4,353	12,287	444
გადასახდელი ხელფასი		0	0	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0	0
გადასახდელი პროცენტი	11	1,074,481	760,081	549,088
საგადასახადო ვალდებულებები		12,564	0	0
		1,091,399	772,369	549,532
მთლიანი ვალდებულებები		4,471,118	3,609,776	3,392,864
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,973,369	2,207,683	2,448,944

დირექტორი: *გ. ხოშენი*

შპს შავიტ ენდ როზენ

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	12	64,245	407,994
თვითღირებულება		(8,511)	(40,917)
საერთო მოგება		55,734	367,077
სხვა შემოსავლები	13	254,596	166,899
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(330,368)	(379,930)
მოთხოვნის გაუფასურება	15	-	(6,004)
სხვა ხარჯები	16	(839,335)	(395,249)
საოპერაციო მოგება		(859,374)	(247,208)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	17	(256,867)	(238,826)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(256,867)	(238,826)
მოგება დაბეგვრამდე		(1,116,240)	(486,034)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(1,116,240)	(486,033.90)

დირექტორი: *გ. ხოშენი*

შპს შავიტ ენდ როზენ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	811,622	(1,755,542)	(943,920)
მოგება წლის ბოლოს	-	(486,034)	(486,034)
სხვა სრული შემოსავალი	27,860	-	27,860
პერიოდის სრული შემოსავალი	27,860	(486,034)	(458,174)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	839,482	(2,241,576)	(1,402,093)
მოგება წლის ბოლოს		(1,116,240)	(1,116,240)
სხვა სრული შემოსავალი	20,584		20,584
პერიოდის სრული შემოსავალი	20,584	(1,116,240)	(1,095,656)
გაცემული დივიდენდი		-	-
კაპიტალის გატანა		-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	860,067	(3,357,816)	(2,497,750)

დირექტორი: *ბ. ხოშენი*

შპს შავიტ ენდ როზენ
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(ლარიში)	2020	2019
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	79790	9,353
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული საგანგებო ფულადი სახსრები	65,154.59	480,448.37
გადახდილი ხელფასი	-39379	-118892
გადახდილი სავაჭრო და სხვა გადასახადები	-84776	-202647.04
გადახდილი გადასახადები	-26643.68	-60467.22
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-1054.71	229486.5
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	-86698.67	327,928.61
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას		-19703
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	0	(19,703.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის გადახდა	-775404.24	-336959.39
სესხის მიღება	842380.7	164768.57
გადახდილი პროცენტები	-60260.89	-66621.95
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	6716	-238812.77
ვალუტ გაცვ კურ ცვლ გავლენა ფულადი სახს და მათ ექვ	232	1024
ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	39	79,790

დირექტორი: 

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს შავიტ ენდ როზენ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 14 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404384821 . კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ.40. ფაქტიური მისამართი:ბორჯომი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სასტუმროებით და რესტორნებით მომსახურება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებია:

- | | |
|---|-------|
| 1. 31543290; 13988049, 0- 1634005-1, იცხაკ შავიტ, ისრაელი | - 50% |
| 2. 0-1446104-0, 21612046, ბენი როზენ, ისრაელი | - 50% |

კომპანიის დირექტორებს წარმოადგენენ:

- | |
|--|
| 1. დირექტორი - 31543290; 13988049, 0-1634005-1, იცხაკ შავიტ, ისრაელი |
| 2. დირექტორი - 0-1446104-0, 21612046, ბენი როზენ, ისრაელი |

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი

ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის

დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-8
კომპიუტერული ტექნიკა	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების

საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

2 ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	101,102	1,704,505	82,818	240,449	4,945	2,133,819
შემოსვლა	-	-	-	4,371	12,326	16,697
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	-	33,828	3,364	51,868	2,187	91,248
31 დეკემბერი 2019	101,102	1,670,676	79,454	192,953	15,084	2,059,269
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	-	36,647	3,645	56,567	2,875	99,734
31 დეკემბერი 2020	101,102	1,634,029	75,809	136,386	12,209	1,959,535

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	39.09	90.09
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	34,576.60
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	45,122.63
სულ	39.09	79,789.32

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,481.52	543.89
სულ	2,481.52	543.89

შენიშვნა 6

ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,087.94	1,539.88
სულ	2,087.94	1,539.88

შენიშვნა 7

წინასწარ გადახდილი გადასახადები

გადახდილი გადასახადი რომელიც წარმოქმნა მომწოდებლისგან მიღებული საგადასახადო ანგარიშ ფაქტურებით

ჩათვლილი დღგს თანხისგან და კომპანიას დაუბრუნდა 2019 წელს 220 000 ლარი.

შენიშვნა 8

მარაგები

	2020	2019
ნედლეული და მასალები	1,217.10	3,491.49
მზა პროდუქცია	1,743.88	1,982.29
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,593.18	387.86
სულ	4,554.16	5,861.64

შენიშვნა 9

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2020	2019
გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისაგან	2,476,011.15	2,115,894.02
გრძელვადიანი სესხები საკრედიტო ორგანიზაციებიდან	903,708.68	721,513.32
სულ	3,379,719.83	2,837,407.34

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	4,288.52	3,490.01
მიღებული ავანსები	0.14	8,735.20
გადასახდელი ხელფასები	35.01	36.00
სოციალური გადასახადი	29.33	26.01
სულ	4,353.00	12,287.22

შენიშვნა 11

გადასახდელი პროცენტი

	2020	2019
პარტნიორებისაგან მიღებული სესხი	1,074,481.34	760,081.46
	1,074,481.34	760,081.46

შენიშვნა 12

ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება ძირითადი საქმიანობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლისგან.

შენიშვნა 13

სხვა შემოსავლები

	2020	2019
არასაოპერაციო მოგება	251,438.91	162,893.73
კონვერტაციის შემოსავალი	43.60	4.36
დამრგვალების შემოსავალი	-	1.05
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	4,000.02
განსაკუთრებული შემოსავლები	3,113.25	-
სულ	254,595.76	166,899.16

შენიშვნა 14

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	100,023.19	91,514.95
სამეურნეო დასაკანცელარიოხარჯი	2,365.18	32,353.97
რეკლამის ხარჯები	179.40	12,090.83
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	-
შრომის ანაზღაურება	50,227.04	151,694.20
სოციალური დანარიცხები	1,004.54	3,034.17
კომუნიკაციის ხარჯები	8,399.90	15,445.07
კომუნალური ხარჯები	16,972.33	41,082.44
დაზღვევა	5,336.54	5,731.44
კომპიუტერის ხარჯები	-	-

საკონსულტაციო ხარჯები	12,496.77	10,300.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	113,422.00	-
საბანკო მომსახურება	1,036.01	4,571.77
სხვა საერთო ხარჯი	18,905.45	12,111.65
სულ	330,368.35	379,930.49

შენიშვნა 15

მოთხოვნის გაუფასურება	2020	2019
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	-	6,003.99
სულ	-	6,003.99

შენიშვნა 16

სხვა ხარჯები	2020	2019
არასაოპერაციო ზარალი	769,726.81	393,814.74
კონვერტაციის ხარჯი	353.50	681.71
დამრგვალების ხარჯი	0.44	1.92
ჯარიმები	4,000.00	751.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	65,254.68	-
სულ	839,335.43	395,249.37

შენიშვნა 17

ფინანსური ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	256,866.60	238,826.34
სულ	256,866.60	238,826.34

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მაშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid 19 , რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. შედეგად კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა, რამაც გამოიწვია უარყოფითი ეფექტი .

2021 წლის 25 მაისს მოხდა დამფუძნებლის წილის ცვლილება და გადანაწილდა შემდეგნაირად:

- | | |
|---|-------|
| 1. 31543290; 13988049, 0- 1634005-1, იცხაკ შავიტ, ისრაელი | - 25% |
| 2. 0-1446104-0, 21612046, , ბენი როზენ, ისრაელი | - 75% |

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 27 ოქტომბერს;

დირექტორი: 